ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N6

25.05.2026

სხდომის ჩატარების
ადგილი:

ქალაქ ქუთაისი
ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა.

რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა ჩაატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი მანანა ჩიხლაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

დიმიტრი მხეიძე, მაგდა კოსტავა, თამთა ბაკურაძე, ლანა ჩიტიძე, ელეონორა არჩაია, მიხეილ გიორგაძე.

მოწვეული სტუმარი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოადგილე ქალბატონი ფიქრია ხაჭაპურიძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი თეონა მელქაძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა ჩიხლაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის მაისამდე გაწეული საქმიანობის შესახებ.

კომისიამ დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხს უყარა კენჭი და დაადგინა: დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მანანა ჩიხლაძე: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს წარმოადგენს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოადგილე ქალბატონი ფიქრია ხაჭაპურიძე.

ფიქრია ხაჭაპურიძე: ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №110 დადგენილების საფუძველზე, ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში დამტკიცებულ იქნა 29 სოციალური და ჯანდაცვითი ქვეპროგრამა და განისაზღვრა 8 511,4 ათასი ლარით.

წინა საბიუჯეტო წელთან შედარებით 2025 წლის ბიუჯეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 1 050,0 ლარით. ზრდა ძირითადად დაფიქსირდა შემდეგ ქვეპროგრამებში: „სამედიცინო დახმარება“, ,,მედიკამენტებით უზრუნველყოფა“ „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია“, „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება“, „ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარება“ (იშვიათი გენეტიკური და აუტოიმუნური დაავადებები), ,,შინ მოვლა“, ,,მარტოხელა მშობელთა დახმარება“, ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა“ და სხვა. ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა საპილოტე ქვეპროგრამა ,,შეზღუდული შესაძლებლობის პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურება“.

ქვეპროგრამების ფარგლებში ბენეფიტებით სარგებლობენ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, ესენია: შშმ პირები, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, ავღანეთის ომის ვეტერანები, 2004 წელს აგვისტოს ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახები, 26 აპრილს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირები,

შშმ ვეტერანები, იძულებით გადაადგილებული პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა მშობლები, დღის ცენტრით მოსარგებლე ბენეფიციარები და სხვა.

სამსახურში საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 14464 მოქალაქის განცხადება.

საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 8 438, 41 ათასი ლარი (98,5 %)

მიმდინარე ხარჯი ქვეპროგრამების მიხედვით (ხარჯი წარმოდგენილია ათას ლარებში):

1. „სამედიცინო დახმარება“ :

ბიუჯეტი -1 803, 0 ათასი ლარი.

დაიხარჯა - 1 801, 26 ათასი ლარი (99 %)

დახმარებით ისარგებლა 4668-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით სარგებლობენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირები, კერძოდ:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; მარტოხელა მშობლები და მათი არასრულწლოვანი შვილები; მრავალშვილიანი მშობლები და მათი არასრულწლოვანი შვილები; 0-6 წლამდე ბავშვები (6 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით); სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000-დან 150001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები; ასაკის პენსიონერები; მარჩენალგარდაცვლილის სტატუსის მქონე პირები; 2004 წლის აგვისტოს ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახების წევრები; ქალაქ ქუთაისში არსებული მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლები/მათი ოჯახის წევრები; ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები. ასევე ბენეფიციარები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო /გარდა უძრავ-მოძრავი ქონების შეძენის მიზეზისა/ შეუწყდათ რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ისარგებლეს საბიუჯეტო წლის ბოლომდე, დამატებითი მოკვლევის საფუძველზე.

სამედიცინო დახმარების მოცულობა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში განისაზღვრა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადი მომართვის საფუძველზე, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (სამედიცინო მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით - „DRG“ მოდელი) დადგენილი წესის მიხედვით განსაზღვრული თანაგადახდის წილის 70%–ით, არაუმეტეს 1000 ლარისა. გამონაკლისს წარმოადგენდა გულ–სისხლძარღვთა სისტემითა და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული მოქალაქეები, რომელთათვის სამედიცინო მომსახურება (ქირურგია, თერაპია, დიაგნოსტიკა) დაფინანსდება მრავალჯერადი მომართვის საფუძველზე, გულ–სისხრძარღვთა დაავადებების შემთხვევაში ჯამურად 1000 ლარის ფარგლებში, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების შემთხვევაში კი, ჯამურად 1500 ლარის ფარგლებში.

2. „მედიკამენტებით უზრუნველყოფა“:

ბიუჯეტი -239,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა-219,9 ათასი ლარი

დახმარებით ისარგებლა სულ 616-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან:

ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 0-დან- 100 0001–მდე სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე პირები (411 ბენეფიციარი); მინდობით აღზრდაში (სახელმწიფო ზრუნვის სისტემა) მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები (4 ბენეფიციარი); ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები (28 ბენეფიციარი); მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (90 ბენეფიციარი); ოჯახური ძალადობის მსხვერპლები; მარჩენალდაკარგული სტატუსის მქონე პირები; 2004 წლის აგვისტოს ქართულ–ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახების წევრები (1 ბენეფიციარი); ჰემოდიალიზზე მყოფი პირები (82 ბენეფიციარი); მიუსაფარ ბავშვთა სადღეღამისო მომსახურების თავშესაფრის ბენეფიციარები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლები/მათი ოჯახის წევრები.

3. „ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა”:

ბიუჯეტი - 15,0 ათასი ლარი

დაიხარჯა - 13,44 ათასი ლარი

დახმარებით ისარგებლა 29 ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები. დახმარების მიღება ხდებოდა ვაუჩერის მეშვეობით, რომლის მოცულობა განისაზღვრებოდა ყოველთვიურად, არაუმეტეს 70 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით.

4. „ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარება“:

ბიუჯეტი -100,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა-98,0 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 55-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით მოსარგებლეები: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული /მცხოვრები, ფენილკეტონურიის /ცელიაკიის დიაგნოზის მქონე პირები. დახმარების ოდენობა განისაზღვრებოდა შემდეგნაირად:

ა) 18 წლამდე ასაკის (18 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით), მათ შორის სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ (ნათესაური/არანათესაური მინდობით აღზრდა) ბავშვებს, ასევე, შესაბამისი საჭიროების მქონე 18 წლის ან მეტი ასაკის პირებს, რომლებიც ირიცხებიან 24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის მომსახურებებში, ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით საჭირო ტრანსპორტირების ხარჯებისთვის (200 ლარის ღირებულების კვების ვაუჩერს ისინი იღებენ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში);

ბ) 18 წლის ან მეტი ასაკის პირები, დახმარებას იღებდნენ ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით.

5. „სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა“ :
ბიუჯეტი-45,0 ათასი ლარი.
დაიხარჯა-35,54 ათასი ლარი.
დახმარებით ისარგებლა 61-მა ოჯახმა.

ქვეპროგრამით ხორციელდებოდა ქალაქ ქუთაისში, ზ. ჭავჭავაძის ქუჩის №1 და №3–ში მდებარე სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ დახარჯული ელექტროენერგიისა (თითოეულ აბონენტს თვეში არაუმეტეს 60 ლარისა) და ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით. გუგუნავას ქუჩის №12-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა მიერ დახარჯული ელექტროენერგიის თანხა ნაზღაურდება ყოველთვიურად, წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით 60 ლარის ფარგლებში. ასევე, ნიკეას ქუჩის №40გ-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის საერთო სარგებლობის ფართში მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი.

6. „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება“
ბიუჯეტი-1 326,0 ათასი ლარი.
დაიხარჯა-1324,72 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ყოველთვიური მატერიალური დახმარებით ისარგებლა 703-მა მრავალშვილიანმა ოჯახმა, მათ შორის:

ყოველთვიური მატერიალური დახმარება - 703 (ოჯახი); ბენეფიტი თითოეულ არასრულწლოვან შვილზე 40 ლარი. მატერიალური დახმარება შვილის შეძენისას – 53 ოჯახი; მე-4 და შემდეგი შვილის შეძენის შემთხვევაში ბენეფიციარებს გაეწიათ მატერიალური დახმარება1500-დან 2000 ლარამდე, შვილთა რიგითობის შესაბამისად. გაიცა მატერიალური დახმარებები წელიწადში ერთჯერადად 500-დან 1000 ლარამდე ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 5 და მეტი შვილი და ამათგან ერთი მაინც არასრულწლოვანია, შვილთა რაოდენობის შესაბამისად. ისარგებლა 195-მა ოჯახმა;

ელექტრო-ენერგიის ხარჯის ანაზღაურება. მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 შვილი და თუნდაც ერთი არასრულწლოვანი შვილი, ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, თვეში იღებენ ელექტროენერგიის დანახარჯის ანაზღაურებაში დახმარებას, თანადაფინანსების სახით 20 ლარის ფარგლებში. აღნიშნულ ლიმიტს ემატება 10 ლარი ხუთშვილიანი ოჯახის შემთხვევაში, ასევე ყოველ მომდევნო შვილზე იგივე წესით. ისარგებლა 183-მა ოჯახმა;

7. „სარიტუალო დახმარება“ :
ბიუჯეტი-7,0 ათასი ლარი.
დაიხარჯა-5,4 ათასი ლარი.
დახმარებით ისარგებლა 18 -მა ბენეფიციარმა.

მოსარგებლე ბენეფიციარები: გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის გამღები პირები/ოჯახის წევრები. გაიცა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

8. „სოციალური ღონისძიებები“ :
ბიუჯეტი - 1 278,0 ათასი ლარი.
დაიხარჯა - 1 270,95 ათასი ლარი.
დახმარებით ისარგებლა 7853-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

3-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საკურორტო მომსახურების დაფინანსება.

ქვეპროგრამით მოსარგებლეები: სახელმწიფო მზრუნველობაში, ნათესაურ და არანათესაურ მინდობით აღზრდაში მყოფი შშმ ბავშვები და მიუსაფარ ბავშვთა სადღეღამისო მომსახურების თავშესაფრის ბენეფიციარები. ქვეპროგრამა ითვალისწინებს შავი ზღვის კურორტზე (მაგნიტური ქვიშა) სასტუმროს მომსახურების ხარჯების ვაუჩერულ დაფინანსებას არაუმეტეს 6 დღე-ღამისა. ერთ ადამიანზე მომსახურების ღირებულება შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი)ლარს; ერთ ბენეფიციარზე და მის კანონიერ წარმომადგენელზე ვაუჩერის ღირებულება ჯამში განისაზღვრება 500 (ხუთასი) ლარით. მომსახურებით ისარგებლა 104-მა ბენეფიციარმა.
საბიუჯეტო წლის განმავლობაში 2-ჯერ, საახალწლო და სააღდგომო დღესასწაულებთან დაკავშირებით, სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ბენეფიციარების დასაჩუქრება 100 ლარის ღირებულების სასაჩუქრე ბარათებით (გაიცა სულ: 7600 სასაჩუქრე ბარათი). ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებები ასევე განისაზღვრა შემდეგი კატეგორიების ბენეფიციარებზე: მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანები (2 ბენეფიციარი); ავღანეთის ომის ვეტერანები (50 ბენეფიციარი); 2004 წლის აგვისტოს ქართულ – ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახები (9 ბენეფიციარი). აღნიშნული ოჯახის წევრებს 3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით გადაეცათ მატერიალური დახმარება - თითოეულს 1000 ლარი. 8 აგვისტოს კი, თითოეული ოჯახის დახმარება განსაზღვრულია 1500 ლარით.ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარება (51 ბენეფიციარი); 17 ოქტომბერს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დღესთან

დაკავშირებით შშმ ვეტერანების მატერიალური დახმარება (28 ბენეფიციარი); „წითელი ჯვრის“ ქუთაისის ორგანიზაციის მხარდაჭერა; 100 წლის და მეტი ასაკის ბენეფიციარების მატერიალური დახმარება - ისარგებლა 9 ბენეფიციარმა; აა(ი)პ „World Vision International“ საქართველოს ფილიალის თანადაფინანსება.

9. ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა“ :

ბუიჯეტი-147,0 ათასი ლარი.
დაიხარჯა - 143,49 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 2315-მა ოჯახმა.

აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველი, 0–70001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტრო/ენერგიის ღირებულების თანადაფინანსებას, სულადობის მიხედვით და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო თანხების დაფინანსებას.

10. ,,განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა” :
ბიუჯეტი -162,0 ათასი ლარი.
დაიხარჯა-159,2 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 143-მა ბენეფიციარმა.

(მათ შორის: ჰემოდიალიზზე მყოფი პირი - 127, რეინტეგრირებული ბავშვიანი ოჯახი - 15, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18 წლის ბენეფიციარი -1).

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები, სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებიდან გასული პირების ფინანსურ დახმარებას, კერძოდ: თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვზე - თვეში 200 ლარს; ჰემოდიალიზზე მყოფი პირების მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით დახმარებას, თვეში 100 ლარი.

11.,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა“ :
ბიუჯეტი-148,0 ათასი ლარი.
დაიხარჯა-141,46 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 213-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები: სახელმწიფო პროგრამით „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე:

ა) 0–6 წლამდე ბავშვები;

ბ) 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000–ს;

გ) მინდობით აღზრდაში მყოფი შშმ ბავშვები;

დ) მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ბენეფიციარები;

ე) მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობების ან ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარები;

დაფინანსება ხორციელდებოდა მათთვის უმთავრესი საჭიროების ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ: ბავშვის ჰიგიენური საფენებითა და სველი ხელსახოცებით უზრუნველყოფისათვის დახმარება განსაზღვრული იყო თვეში 60 ლარის ოდენობით.

12. „კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება“ :

ბიუჯეტი - 13,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა-11, 12 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 9 ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის მიზანი: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. დახმარება გაეწიათ კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით. ქვეპროგრამის ფარგლებში ნაზღაურდებოდა კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება, თვეში – 95 ლარის ოდენობით და ექვს თვეში ერთხელ, პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება – 200 ლარის ოდენობით.

13. ,,ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა თანადგომა“ :

ბიუჯეტი-65,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა-61,8 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 26-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის ფარგლებში 0-18 წლამდე ასაკის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს გაეწიათ მატერიალური დახმარება თითოეულს, თვეში 200 ლარის ოდენობით.

14. ,,შინმოვლა" :

ბიუჯეტი- 85,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა-79,45 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 160 - მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები: „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 120001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები, რომელთათვისაც „უძლურების შეფასების ბართელის კითხვარის" მიხედვით მინიჭებული ქულა არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე.

მომსახურების დაფინანსება ხორციელდებოდა წლიური ვაუჩერის მეშვეობით, რომლის ღირებულება მოსარგებლეთა კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირია:

ა) I კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 660 ლარი;

ბ) II კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 540 ლარი:

გ) III კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 360 ლარი.

15. „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია" :

ბიუჯეტი-2 290,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა-2 283,0 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 462-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ქუთაისში ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგისტრირებული და მცხოვრები 2 – დან 17 წლის ასაკის ჩათვლით აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა (დიაგნოზი: განვითარების ზოგადი აშლილობები F84.0 – F84.9).

სააბილიტაციო მომსახურებას. ქვეპროგრამით განსაზღვრული სერვისები მოიცავდა მულტიდისიპლინური გუნდის მიერ იდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, მოსარგებლისთვის კომპლექსური თერაპიული სესიების მიწოდებას, თვეში არაუმეტეს 20 სესიისა. თითოეული სესიის ხანგრძლივობა შეადგენდა 1 საათს. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდებოდა მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით, რომლის ღირებულება განისაზღვრა თვეში 450 ლარით.

16. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“ :

ბიუჯეტი-30,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შშმ პირთა და/ან მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებას. კონკურსის წესის შესაბამისად შეირჩეოდა სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე განათლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტები.

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში მიღებულ იქნა სამი საკონკურსო განაცხადი: საკონკურსო კომისიის მიერ გამაჯვებული კონკურსანტი არ გამოვლენილა.

17. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა“ :

ბიუჯეტი-66,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა-63,401,27 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 7 -მა ორგანიზაციამ.

ქვეპროგრამის მიზანი: 0-18 წლამდე და 18 წლის ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მომსახურების მიმწოდებელი 7 ორგანიზაციის თანადაფინანსების პრინციპით კომუნალური ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის 6-დან 18 წლამდე მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, ბენეფიციართა ტრანსპორტირების, განმავითარებელი და სხვა საშუალებების ხარჯების ანაზღაურება.

18. „მარტოხელა მშობელთა დახმარება“ :

ბიუჯეტი-83,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა-82,4 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 201-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადები 40 ლარის ოდენობით (ელ. ენერგია - 20 ლარი; ბუნებრივი აირი -15 ლარი; წყალი - 5 ლარი) .

19. „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება“

ბიუჯეტი-4,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა-3,6 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 2-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენდა სსიპ სახელწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში/თავშესაფარში მყოფი პირის/ოჯახის, ფინანსურ დახმარება თავშესაფრის დატოვების შემდეგ, რომელიც განისაზღვრება 200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად 1 წლის განმავლობაში.

20. ,,საქართველოს „ბავშვთა ეს-ო-ეს სოფლის" დღის ცენტრის ბენეფიციართა დახმარება“ :

ბიუჯეტი-37,0 ათასი ლარი

დაიხარჯა-36,96 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 25-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ბავშვების სოციალური დახმარებისა და მათი ოჯახების გაძლიერების მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და „ასოციაცია საქართველოს ,,ეს-ო-ეს სოფელს" შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, დაფინანსდა 12–დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრით მომსახურება, კერძოდ კომუნალური გადასახადების, კვებისა და ჰიგიენური საშუალებებით მომსახურება ყოველთვიურად, თვეში არაუმეტეს 20 ბენეფიციარისა.

21. ,,გადაუდებელი რეაგირება“ :
ბიუჯეტი - 490,0 ათასი ლარი.
დაიხარჯა - 444,6 ათასი ლარი.
მატერიალური დახმარება გაეწია 428 ბენეფიციარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში/სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების/ოჯახების დახმარებას, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა მომსახურების მიწოდებას ან/და მატერიალურ დახმარებას. ბენეფიციარები სხვადასხვა მომხდარ გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელია იყვნენ: სოციალურად დაუცველი პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არასრულწლოვნები, ხანდაზმული პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, მარტოხელა მშობლები, უსახლკარო პირები, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე პირები, მხარდაჭერის მიმღები პირები, ძალადობის მსხვერპლები და სხვა პირი, რომელიც შესაძლებელია იყოს ზემოაღნიშნულ პირთა მსგავს საფრთხეში.

22.,,მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენა“ :
ბიუჯეტი- 5,0 ათასი ლარი.
დაიხარჯა 5,0 ათასი ლარი.
დახმარებით ისარგებლა 40-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ტიფლოტექნიკური/ხმოვანი აპარატების (20 ცალი არტერიული წნევის საზომი და 20 ცალი გლუკომეტრი) შეძენა.

23. ,,გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფსიქიატრიული სერვისებით უზრუნველყოფა“ :

ბიუჯეტი - 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა გულისხმობდა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონებისათვის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის მიწოდებას, კერძოდ: ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის მომსახურებას, ასევე ფსიქიატრის კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას, რაც ხორციელდებოდა

ქუთაისის მერიის წილობრივი ფინანსური მხარდაჭერით, 10000 /ათი ათასი/ ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამა არ განხორციელებულა.

24. ,,სოციალურად დაუცველ ოჯახებში შეძენილ ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება" :
ბიუჯეტი - 5,0 ათასი ლარი.
დაიხარჯა - 3,0 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 6 -მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველ ოჯახებში შეძენილ ახალშობილზე ფინანსურ დახმარებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

25. ,,ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება" :

ბიუჯეტი-55,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა-53,16 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 13-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის მიზანი იყო მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერა, ასევე, არსებული მიკრო და მცირე მეწარმეობის გაფართოება-გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, ასევე მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფიდან, სულ მცირე, ორს მაინც აკმაყოფილებდა: სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 - ს; გაღარიბების მაღალი რისკის წინაშე კრიზისულ მდგომაროებაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები; ერთ-ერთი მშობელი, რომელიც დამოუკიდებლად ასრულებს მშობლის ფუნქციებს; ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ სუსტი თანადგომის ქსელი; ბავშვიანი ოჯახები, სადაც ერთი მშობელი კანონთან კონფლიქტშია.

26. ,,პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა დახმარება" :
ბიუჯეტი - 62,0 ათასი ლარი.
დაიხარჯა-61,0 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 55-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 0–დან 18 წლამდე (18 წლის ასაკის შესრულებისთვის ჩათვლით) პირთა ფინანსურ

დახმარებას, მკურნალობისათვის საჭირო ჯანსაღი კვების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით.

27. ,,გლაუკომით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა“ :

ბიუჯეტი - 20,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა - 10,7 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 28 ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები: გლაუკომით დაავადებული პირები (ასაკის პენსიონერები და შშმ პირები), რომელთა ანტიგლაუკომატოზური პრეპარატებით დახმარება 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არ იფარებოდა. ბენეფიციარებს ჰქონდათ შესაძლებლობა ბენეფიტი მიეღოთ წელიწადში ორჯერ, თითოეულ შემთხვევაზე 50 ლარის ღირებულების მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით.

28.,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურება“ :

ბიუჯეტი - 180,4 ათასი ლარი.

დაიხარჯა 35,4 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 12 ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით.

ქვეპროგრამის ამოცანა იყო ამავე ქვეპროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება.

ქალაქის მუნიციპალიტეტის მერიასა და სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან („დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი“) გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში, განხორციელდა მომსახურების მიღება ბენეფიციართათვის, კერძოდ:

ა) რეგულარული ასისტირების საჭიროების ბენეფიციარისთვის - თვეში არაუმეტეს 60 საათისა, დაფინანსების ოდენობა (ტარიფი) საათში - 12 ლარი.

ბ) სპეციალიზებული ასისტირების საჭიროების ბენეფიციარისთვის - თვეში არაუმეტეს 120 საათისა, დაფინანსების ოდენობა (ტარიფი) საათში 13 ლარი.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობა

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკები ოთხი თვალის პრინციპით პრევენციული მიმართულებით ახდენენ რა ფოკუსირებას ბენეფიციარების საჭიროებების იდენტიფიცირებაზე, აფასებენ მათ სათანადო ინსტუმენტებით და კომპლექსურად მუშაობენ ოჯახის გამომწვევ რისკ-ფაქტორების აღმოფხვრაზე. ვინაიდან პრევენციული მიმართულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგული რგოლია სოციალური დაცვის სისტემაში, განყოფილების მთავარი მიზანია არა მხოლოდ კრიზისებზე რეაგირება, არამედ რისკების ადრეული იდენტიფიცირება და ბენეფიციარების მხარდაჭერა და გაძლიერება, პოზიტიური მშობლობის უნარების ჩამოყალიბება.

2025 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში მიღებული იქნა 179 განცხადება და შეფასებული იქნა 329 ბავშვი. ყველა შემთხვევაზე კანონმდებლობის თანახმად (საქართველოს კანონი: „სოციალური მუშაობის შესახებ“, „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ და ა.შ) ჩატარდა შესაბამისი სოციალური სამუშაო.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ,,გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამის“ ფარგლებში განაცხადი გააკეთა 106 მოქალაქემ, სულ განხორციელდა 165 ბავშვის შეფასება და და ჩატარდა შესაბამისი სოციალური სამუშაო.

სსიპ ,,სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან“ შემოვიდა 34 შეტყობინება, შეფასდა 61 ბავშვი და ჩატარდა შესაბამისი სოციალური სამუშაო.

თვითმმართვა განახორციელა 12-მა მოქალაქემ, ბავშვის სოციალური მუშაკების მომსახურების მოთხოვნით, შეფასდა 29 ბავშვი და ჩატარდა შესაბამისი სოციალური სამუშაო.

ქვეპროგრამის „ბავშვიანი ოჯახის ეკონომიკური გაძიერება“ ფარგლებში განაცხადი გააკეთა 18-მა მოქალაქემ, სულ განხორციელდა 60 ბავშვის შეფასება. /პროგრამაში მონაწილეობდა 8 ოჯახი/.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული იქნა 4 განაცხადი, შეფასდა 4 ბავშვი, ვერ შეფასდა 2 ბავშვი (უარი სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობაზე).

მერიის ადმინისტრაციული ერთეულიდან მიღებული 2 წერილის საფუძველზე შეფასდა 4 ბავშვი.

სახალხო დამცველის აპარატიდან მიღებული 2 შეტყობინების საფუძველზე შეფასდა 4 ბავშვი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე შეფასდა 2 ბავშვი და ჩატარდა შესაბამისი სოციალური სამუშაო.

მეორე დონეზე - სოციალური მუშაკების მიერ ბავშვთან და ოჯახთან შედგენილი ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის მიხედვით, რომელიც გაწერილია მიზანზე ორიენტირებული აქტივობებით, მონიტორინგი განხორციელდა 33 ბავშვთან.

2026 წელი

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №03 დადგენილების საფუძველზე, ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში დამტკიცებულ იქნა 28 სოციალური და ჯანდაცვითი ქვეპროგრამა და განისაზღვრა 9 324,8 ათასი ლარით.

გასულ საბიუჯეტო წელთან შედარებით 2026 წლის ბიუჯეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება გაზრდილია 813,4 ათასი ლარით. ზრდა ძირითადად ფიქსირდება შემდეგ ქვეპროგრამებში: „სამედიცინო დახმარება“ (ონკოლოგიური დაავადებები), „სოციალური ღონისძიებები“ (შშმ ბავშვთა საკურორტო მომსახურება), „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება“, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია“, „ფენილკეტონურითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარება“ (იშვიათი გენეტიკური და აუტოიმუნური დაავადებები) და სხვა. ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გაიზარდა ,,შეზღუდული შესაძლებლობის პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების“ ქვეპროგრამის დაფინანსება.

ქვეპროგრამების ფარგლებში ბენეფიტებით სარგებლობენ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, კერძოდ: მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, ავღანეთის ომის ვეტერანები, 2004 წელს აგვისტოს ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ქართულ ომში დაღუპული მეომრების ოჯახები, 26 აპრილს, ჩერნობილის ატომური

ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირები, შშმ ვეტერანები, იძულებით გადაადგილებული პირები, დღის ცენტრებით მოსარგებლე ბენეფიციარები და სხვა.
სამსახურში საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 5554 მოქალაქის განცხადება.

მიმდინარე ხარჯი ქვეპროგრამების მიხედვით (ხარჯი წარმოდგენილია ათას ლარებში):

1. „სამედიცინო დახმარება“ :

ბიუჯეტი - 2 000,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა- 561,16 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 1648 ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით სარგებლობენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირები, კერძოდ:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; მარტოხელა მშობლები და მათი არასრულწლოვანი შვილები; მრავალშვილიანი მშობლები და მათი არასრულწლოვანი შვილები; 0-6 წლამდე ბავშვები (6 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით); სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000-დან 150001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები; ასაკის პენსიონერები; მარჩენალგარდაცვლილის სტატუსის მქონე პირები; 2004 წლის აგვისტოს ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახების წევრები; ქალაქ ქუთაისში არსებული მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლები/მათი ოჯახის წევრები; ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები. ასევე ბენეფიციარები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო /გარდა უძრავ-მოძრავი ქონების შეძენის მიზეზისა/ შეუწყდათ რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ისარგებლებენ საბიუჯეტო წლის ბოლომდე, დამატებითი მოკვლევის საფუძველზე.
სამედიცინო დახმარების მოცულობა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში განისაზღვრება საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადი მომართვის საფუძველზე, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (სამედიცინო მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით - „DRG“ მოდელი) დადგენილი წესის მიხედვით განსაზღვრული თანაგადახდის წილის 70%–ით, არაუმეტეს 1000 ლარისა. გამონაკლისს წარმოადგენს გულ–სისხლძარღვთა სისტემითა და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული მოქალაქეები, რომელთათვის სამედიცინო მომსახურება (ქირურგია, თერაპია, დიაგნოსტიკა) დაფინანსდება მრავალჯერადი მომართვის საფუძველზე, გულ–სისხრძარღვთა დაავადებების შემთხვევაში ჯამურად 1000 ლარის ფარგლებში, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების შემთხვევაში კი, ჯამურად 2000 ლარის ფარგლებში.

2. „მედიკამენტებით უზრუნველყოფა“ :

ბიუჯეტი - 200,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა- 70,18 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 307-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან:

ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 0-დან 120 0001–მდე სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე პირები (253 ბენეფიციარი); მინდობით აღზრდაში (სახელმწიფო ზრუნვის სისტემა) მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები (4 ბენეფიციარი); ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები (ისარგებლა 10 ბენეფიციარმა); მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (40 ბენეფიციარი); ოჯახური ძალადობის მსხვერპლები; მარჩენალდაკარგული სტატუსის მქონე პირები; 2004 წლის აგვისტოს ქართულ–ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახების წევრები; მიუსაფარ ბავშვთა სადღეღამისო მომსახურების თავშესაფრის ბენეფიციარები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლები/მათი ოჯახის წევრები; ასევე, ბენეფიციარები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო (გარდა უძრავ–მოძრავი ქონების შეძენის მიზეზისა) შეუწყდათ რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, ისარგებლებენ საბიუჯეტო წლის ბოლომდე, დამატებითი მოკვლევის საფუძველზე.

3.,,ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა” :

ბიუჯეტი - 15,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა -4,91 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 20-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები. დახმარების მიღება ხდება ვაუჩერის მეშვეობით, რომლის მოცულობა განისაზღვრება ყოველთვიურად, არაუმეტეს 70 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით.

4. „ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარება“ :

ბიუჯეტი - 180,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა - 43,0 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 57-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები, ფენილკეტონურიის/ცელიაკიის დიაგნოზის მქონე პირები. დახმარების ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) 18 წლამდე ასაკის (18 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით), მათ შორის სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფ (მინდობით აღზრდა) ბავშვებს, ასევე შესაბამისი საჭიროების მქონე 18 წლის ან მეტი ასაკის პირებს, რომლებიც ირიცხებიან 24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის მომსახურებებში, გაეწევათ ყოველთვიური დახმარება 200 ლარის ოდენობით (დამატებით, კვების ვაუჩერს ისინი მიიღებენ შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში); ბ) 18 წლის ან მეტი ასაკის პირები, დახმარებას მიიღებენ ყოველთვიურად 400 ლარის ოდენობით.

5. „სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა“ :

ბიუჯეტი - 60,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა - 19,33 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 61-მა ოჯახმა.

ქვეპროგრამით ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ზ. ჭავჭავაძის ქუჩის №1 და №3–ში მდებარე სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ დახარჯული ელექტროენერგიისა (თითოეულ აბონენტს თვეში არაუმეტეს 60 ლარისა) და ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით. გუგუნავას ქუჩის №12-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა მიერ დახარჯული ელექტროენერგიის თანხა ანაზღაურდება ყოველთვიურად, წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად,ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით 60 ლარის ფარგლებში. ასევე, ნიკეას ქუჩის №40ბ - ში მდებარე სოციალური საცხოვრისის საერთო სარგებლობის ფართში მოხმარებული ელექტრო/ენერგიის ხარჯი.

6. „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება“ :

ბიუჯეტი - 1 598, 4 ათასი ლარი.

დაიხარჯა- 500, 72 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ყოველთვიური მატერიალური დახმარებით ისარგებლა 720- მა მრავალშვილიანმა ოჯახმა, მათ შორის:

ყოველთვიური მატერიალური დახმარება - 720 (ოჯახი); ბენეფიტი თითოეულ არასრულწლოვან შვილზე 50 ლარი. მატერიალური დახმარება შვილის დაბადებაზე (შეძენა) – 16 ოჯახი; მე-4 და შემდეგი შვილის შეძენის შემთხვევაში გაეწევათ მატერიალური დახმარება 1500-დან 2000 ლარამდე, შვილთა რიგითობის შესაბამისად. მატერიალური

დახმარება წელიწადში ერთჯერადად; მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 5 და მეტი შვილი და ამათგან ერთი მაინც არასრულწლოვანია, იღებენ მატერიალური დახმარებას 500-დან 1000 ლარამდე, შვილთა რაოდენობის შესაბამისად. ისარგებლა 201-მა ოჯახმა;

ელექტრო/ენერგიის ხარჯის ანაზღაურება. მრავალშვილიან ოჯახებს, რომლეთაც ჰყავთ 4 შვილი და თუნდაც ერთი არასრულწლოვანი შვილი, ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, თვეში მიიღებენ ელექტრო/ენერგიის დანახარჯის ანაზღაურებაში დახმარებას, თანადაფინანსების სახით 20 ლარის ფარგლებში. აღნიშნულ ლიმიტს ემატება 10 ლარი ხუთშვილიანი ოჯახის შემთხვევაში, ასევე ყოველ მომდევნო შვილზე იგივე წესით. ისარგებლა 216-მა ოჯახმა;

7. „სარიტუალო დახმარება“ :

ბიუჯეტი- 10,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა- 1,5 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 6-მა ბენეფიციარმა.

მოსარგებლე ბენეფიციარები: გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის გამღები პირები/ოჯახის წევრები. გაიცა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

8. „სოციალური ღონისძიებები“ :

ბიუჯეტი- 918,5 ათასი ლარი.

დაიხარჯა- 470,65 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 3814-მა ბენეფიციარმა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საკურორტო მომსახურება აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვისა (მაგნიტური ქვიშა) და სამთო კურორტზე სასტუმროს მომსახურების ხარჯების ვაუჩერულ დაფინანსებას. მოსარგებლეები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 200 001-მდე სარეიტინგო ქულის, სახელმწიფო მზრუნველობაში და მინდობით აღზრდის სისტემაში მყოფი 3-დან 18 წლამდე შშმ ბავშვები, ასევე მიუსაფარ ბავშვთა სადღეღამისო მომსახურების თავშესაფრის ბენეფიციარები. დაფინანსება მოხდება ვაუჩერის მეშვეობით, ბენეფიციარზე საბიუჯეტო წლის მანძილზე გაიცემა 1 ვაუჩერი. ვაუჩერით მოსარგებლე თავად ირჩევს მომსახურების მიმწოდებელ მხოლოდ ერთ სასტუმროს და სერვისის პირობებს არანაკლებ 6 დღე–ღამისა. ერთ ადამიანზე მომსახურების ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს ერთ ბენეფიციარზე და მის კანონიერ წარმომადგენელზე ვაუჩერის ღირებულება ჯამში განისაზღვრება 800 (რვაასი) ლარით. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცემა არაუმეტეს 125 ვაუჩერისა.

საბიუჯეტო წლის განმავლობაში განსაზღვრულია 2-ჯერ, განხორციელდეს საახალწლო და საალდგომო დღესასწაულებთან დაკავშირებით სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ბენეფიციარების დასაჩუქრება 100 ლარის ღირებულების სასაჩუქრე ბარათებით (აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით გაიცა 3700 სასაჩუქრე ბარათი).

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებები ასევე განსაზღვრულია შემდეგი კატეგორიების ბენეფიციარებზე: მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანები (2 ბენეფიციარი) დახმარებისათვის დაიხარჯა 3,0 ათასი ლარი, თითოეულ ბენეფიციარზე 1500 ლარი. ავღანეთის ომის ვეტერანები-50 ბენეფიციარი დახმარებისთვის დაიხარჯა 25,0 ათასი ლარი, თითოეულ ბენეფიციარზე 500 ლარი.
2004 წლის აგვისტოს ქართულ – ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახებს(9 ბენეფიციარი) 3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით გადაეცათ მატერიალური დახმარება - თითოეულს 1000 ლარის ოდენობით. 8 აგვისტოს კი, თითოეული ოჯახის დახმარება განსაზღვრულია 1500 ლარით. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარებისათვის დაიხარჯა 25,0 ლარი, თითოეულ ბენეფიციარზე 500 ლარი. 17 ოქტომბერს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დღესთან დაკავშირებით შშმ ვეტერანების მატერიალური დახმარება; „წითელი ჯვრის“ ქუთაისის ორგანიზაციის მხარდაჭერა; 100 წლის და მეტი ასაკის ბენეფიციარების მატერიალური დახმარება(3 ბენეფიციარი); აა(ი)პ „World Vision International“ საქართველოს ფილიალის თანადაფინანსება.

9.,,სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა“ :

ბიუჯეტი-150,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა- 36, 13 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 2320 ოჯახმა (6784 ოჯახის წევრი).

აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი 0–70001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების თანადაფინანსებას სულადობის მიხედვით და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო თანხების დაფინანსებას.

10.,,სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ პირთა და რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახების მხარდაჭერა“ :

ბიუჯეტი - 50,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა - 9,6 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 11-მა ოჯახმა (16 ბავშვი).

ქვეპროგრამის მიზანია:

ა)ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და ვერ იქნენ რეინტეგრირებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან („მინდობით აღზრდა", „მცირე საოჯახო ტიპის სახლის" მომსახურება), დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა. ბენეფიტი განსაზღვრულია თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით

ბ) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებული არასრულწლოვანი ბავშვებისათვის, ყოფითი პირობების გაუმჯობესებისა და მიტოვების რისკების პრევენციის მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა. ოჯახს დახმარება გაეწევა თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვზე, თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

11.,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა" :

ბიუჯეტი - 165,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა - 39, 5 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 209 ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები არიან: სახელმწიფო პროგრამით „ბავშვთა ადრეული განვითარებისა" და „დღის ცენტრის" მომსახურებით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე: 0–6 წლამდე ბავშვები; 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000–ს; მინდობით აღზრდაში მყოფი შშმ ბავშვები; მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ბენეფიციარები; მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობების ან ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარები; მათთვის უმთავრესი საჭიროების ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ: ბავშვის ჰიგიენური საფენებითა და სველი ხელსახოცებით უზრუნველყოფისათვის დახმარება განსაზღვრულია თვეში 60 ლარის ოდენობით.

12. „ კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება" :

ბიუჯეტი- 15,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა- 3, 660 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 9 ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე, 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. დახმარება გაეწიათ კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით. ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება, თვეში – 95 ლარის ოდენობით და ექვს თვეში ერთხელ, პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება – 200 ლარის ოდენობით.

13. ,,ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა თანადგომა" :

ბიუჯეტი - 65,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა- 18, 600 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 31-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის ფარგლებში 0-18 წლამდე ასაკის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს გაეწიათ მატერიალური დახმარება, თითოეულს თვეში 200 ლარის ოდენობით.

14. ,,შინმოვლა" :

ბიუჯეტი-90,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა- 24,35 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 143 - მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები: „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 120001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები, რომელთათვისაც „უძლურების შეფასების ბართელის კითხვარის" მიხედვით მინიჭებული ქულა არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე.

მომსახურების დაფინანსება ხორციელდება წლიური ვაუჩერის მეშვეობით, რომლის ღირებულება მოსარგებლეთა კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირია:

ა) I კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 660 ლარი;

ბ) II კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 540 ლარი:

გ) III კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 360 ლარი.

15. „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია“

ბიუჯეტი-2 53,5 ლარი

დაიხარჯა- 534 455 ლარი.

დახმარებით ისარგებლა 482-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგისტრირებული და მცხოვრები 2 – დან 17 წლის ასაკის ჩათვლით აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა (დიაგნოზი: განვითარების ზოგადი აშლილობები F84.0 – F84.9). სააბილიტაციო მომსახურებას. ქვეპროგრამით განსაზღვრული სერვისები მოიცავს მულტიდისიპლინური გუნდის მიერ იდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, მოსარგებლისთვის კომპლექსური თერაპიული სესიების მიწოდებას, თვეში არაუმეტეს 20 სესიისა. თითოეული სესიის ხანგრძლივობა შეადგენს 1 საათს. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით, რომლის ღირებულება განსაზღვრულია თვეში 450 ლარით.

16. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“ :

ბიუჯეტი - 30,0 ათასი ლარი.

გამოცხადდა კონკურსი, გამარჯვებული პროექტი არ გამოვლენილა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შშმ პირთა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებას. კონკურსის წესით შერჩევისას, უპირატესობა მიენიჭება სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე, განათლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ პროექტებს. ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ პირებს. ასევე, ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე მოქმედ შშმ პირების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს.

17. „შშმ ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა“ :

ბიუჯეტი-80,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა - 8,8 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 7-მა ორგანიზაციამ.

ქვეპროგრამის მიზანი: 0-18 და 18 წლის ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა მომსახურების მიმწოდებელი 7 ორგანიზაციის თანადაფინანსების პრინციპით კომუნალური ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის 6-დან 18 წლამდე მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, ბენეფიციართა ტრანსპორტირების, განმავითარებელი და სხვა საშუალებების ხარჯების ანაზღაურება.

18. „მარტოხელა მშობელთა დახმარება“ :

ბიუჯეტი - 90,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა 21,8 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 197-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადები 40 ლარის ოდენობით (ელ/ენერგია - 20 ლარი; ბუნებრივი აირი -15 ლარი; წყალი - 5 ლარი).

19. „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება“ :

ბიუჯეტი- 4,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა- 1,0 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 2 - მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენდა სსიპ სახელწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში/თავშესაფარში მყოფი პირის/ოჯახის, ფინანსურ დახმარება თავშესაფრის დატოვების შემდეგ, რომელიც განისაზღვრება 200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად 1 წლის განმავლობაში.

20. ,,საქართველოს „ბავშვთა ეს-ო-ეს სოფლის" დღის ცენტრის ბენეფიციართა დახმარება“ :

ბიუჯეტი - 37,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა -11,3 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 23-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ბავშვების სოციალური დახმარებისა და მათი ოჯახების გაძლიერების მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და „ასოციაცია საქართველოს ,,ეს-ო-ეს სოფელს" შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12–დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრით მომსახურება, კერძოდ კომუნალური გადასახადების, კვებისა და ჰიგიენური საშუალებებით მომსახურება ყოველთვიურად, არაუმეტეს 20 ბენეფიციარისა.

21. ,,გადაუდებელი რეაგირება“ :

ბიუჯეტი- 400,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა-156,48 ათასი ლარი.

მატერიალური დახმარება გაეწია 162 ბენეფიციარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, კრიზისულ მდგომარეობაში/სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების/ოჯახების დახმარებას, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა მომსახურების მიწოდებას ან/და მატერიალურ დახმარებას. ბენეფიციარები სხვადასხვა მომხდარ გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელია იყვნენ: სოციალურად დაუცველი პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არასრულწლოვნები, ხანდაზმული პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, მარტოხელა მშობლები, უსახლკარო პირები, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე პირები, მხარდაჭერის მიმღები პირები, ძალადობის მსხვერპლები და სხვა პირები, რომელიც შესაძლებელია იყოს ზემოაღნიშნულ პირთა მსგავს საფრთხეში.

22.,,მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური გაცილებისა და ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენის უზრუნველყოფა“ :

ბიუჯეტი - 19,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა-1,5 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 24 - მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ტიფლოტექნიკური/ხმოვანი აპარატების შეძენა და მხედველობის უნარის სრულიად არმქონე ან მცირემხედველი ბენეფიციართათვის, პერსონალური გაცილება, ბენეფიციართა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და ყოველდღიურ აქტივობებში ხელშეწყობის მიზნით. მომსახურების მიღება ხორციელდება ორგანიზაცია „საქართველოს უსინათლოთა კავშირთან“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.

23.,,სოციალურად დაუცველ ოჯახებში შეძენილ ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება“

ბიუჯეტი - 5,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველ ოჯახებში შეძენილ ახალშობილზე ფინანსურ დახმარებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

24. ,,ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება“ :

ბიუჯეტი- 70,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერა. ბენეფიციარებთან ბიო-ფსიქო-სოციალური მოდელის მიხედვით მოხდება სოციალური მუშაკების ჩართულობა, ოჯახის ეკონომიკური და პოზიტიური მშობლობის კუთხით გაძლიერება.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან პირები/ოჯახები, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმთაგან ერთ-ერთს მაინც აკმაყოფილებენ:

სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 - ს; გაღარიბების მაღალი რისკის წინაშე კრიზისულ მდგომაროებაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები; ერთ-ერთი მშობელი, რომელიც დამოუკიდებლად ასრულებს მშობლის ფუნქციებს; ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ სუსტი თანადგომის ქსელი; ბავშვიანი ოჯახები, სადაც ერთი მშობელი კანონთან კონფლიქტშია.

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ერთმა ოგანიზაციამ, კერძოდ „იმერეთის განვითარების ცენტრმა“.

25. ,,პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა დახმარება“ :

ბიუჯეტი-70,0 ათასი ლარი.
დაიხარჯა-16,5 ათასი ლარი.
დახმარებით ისარგებლა 58-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 0–დან 18 წლამდე (18 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით) პირთა ფინანსურ დახმარებას, მკურნალობისათვის საჭირო, ჯანსაღი კვების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით.

26. ,,გლაუკომით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა" :

ბიუჯეტი - 10,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა- 0,75 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 4-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამით სარგებლობენ: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა ანტიგლაუკომატოზური პრეპარატებით დახმარება 2026 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება, კერძოდ: ასაკის პენსიონერები და შშმ პირები. ბენეფიციარებს აქვთ შესაძლებლობა ბენეფიტი მიიღონ წელიწადში ორჯერ, თითოეულ შემთხვევაზე 50 ლარის ღირებულების მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით.

27. ,,ჰემოდიალიზზე მყოფ პირთა დახმარება" :

ბიუჯეტი - 240,0 ათასი ლარი.

დაიხარჯა - 60,6 ათასი ლარი.
დახმარებით ისარგებლა 110-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, ჰემოდიალიზზე დამოკიდებული პირების მატერიალური დახმარება. ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პაციენტებს, სამედიცინო დაწესებულებაში მუდმივად ტრანსპორტირებისთვის და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

28. ,,შეზღუდული შესაძლებლობის პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურება" :

ბიუჯეტი - 217,9 ათასი ლარი.

დაიხარჯა - 37,02 ათასი ლარი.
დახმარებით ისარგებლა 12-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამა მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით.

ქვეპროგრამის ამოცანაა ამავე ქვეპროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება.

ქალაქის მუნიციპალიტეტის მერიასა და სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან („დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი“) გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში, განხორციელდა მომსახურების მიღება ბენეფიციართათვის, კერძოდ:

ა) რეგულარული ასისტირების საჭიროების ბენეფიციარისთვის - თვეში არაუმეტეს 60 საათისა, დაფინანსების ოდენობა (ტარიფი) საათში - 12 ლარი.

ბ) სპეციალიზებული ასისტირების საჭიროების ბენეფიციარისთვის - თვეში არაუმეტეს 120 საათისა, დაფინანსების ოდენობა (ტარიფი) საათში 13 ლარი.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობა

2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 მაისამდე ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში მიღებული იქნა 50 განცხადება და შეფასებული იქნა 135 ბავშვი. ყველა შემთხვევაზე კანონმდებლობის თანახმად (საქართველოს კანონი: „სოციალური მუშაობის შესახებ“, „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ და ა.შ) ჩატარდა შესაბამისი სოციალური სამუშაო.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ,,გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამის“ ფარგლებში განაცხადი გააკეთა 31 მოქალაქემ, სულ განხორციელდა 53 ბავშვის შეფასება და ჩატარდა შესაბამისი სოციალური სამუშაო.

“სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან მიღებული იქნა 9 შეტყობინება, შეფასდა 22 ბავშვი, ვერ შეფასდა 2 ბავშვი (უარი სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობაზე).

თვითმმართვა განახორციელა 4 მოქალაქემ, ბავშვის სოციალური მუშაკების მომსახურების მოთხოვნით, შეფასდა 6 ბავშვი და ჩატარდა შესაბამისი სოციალური სამუშაო.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული იქნა 3 განაცხადი, შეფასდა 9 ბავშვი.

. სახალხო დამცველის აპარატიდან მიღებული 2 შეტყობინების საფუძველზე შეფასდა 4 ბავშვი.

ქუთაისის საკრებულოს მომართვის საფუძველზე შეფასდა 2 ბავშვი და ჩატარდა შესაბამისი სოციალური სამუშაო.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მომართვის საფუძველზე შეფასდა 1 ბავშვი და ტარდება შესაბამისი სოციალური სამუშაო.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ რეფერალი განახორციელა "სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში-2

მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიურ ცენტრში -1

მეორე დონეზე - სოციალური მუშაკების მიერ ბავშვთან და ოჯახთან შედგენილი ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის მიხედვით, რომელიც გაწერილია მიზანზე ორიენტირებული აქტივობებით, მონიტორინგი განხორციელდა 24 ბავშვთან.

კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ და ერთხმად მოიწონეს საკითხი წარმოდგენილი რედაქციით.

ამით, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
ქალბატონი მანანა ჩიხლაძე